დანართი N1

აუდიტორის უფლებამოსილებისა და შესაბამისი კატეგორიის მინიჭების საკითხის განმხილველი კომისიის დებულება

მუხლი 1. ზოგადი დებულებანი

აუდიტორის უფლებამოსილებისა და შესაბამისი კატეგორიის მინიჭების საკითხის განმხილველი კომისია (შემდგომში - კომისია) უზრუნველყოფს აუდიტორის უფლებამოსილებისა და შესაბამისი კატეგორიის მინიჭების საკითხის განხილვას და წინადადებების მომზადებას საჯარო სამართლის იურიდიული პირის - შემოსავლების სამსახურის (შემდგომში - შემოსავლების სამსახური) უფროსისათვის.

მუხლი 2. კომისიის ფუნქციები

1. კომისია უზრუნველყოფს:

ა) გასაუბრებას, იმ ფიზიკურ პირებთან, რომელთაც შემოსავლების სამსახურის მიერ ორგანიზებულ აუდიტორთა შესარჩევ ტესტირებაში მიიღეს დადებითი შეფასება და აუდიტორის უფლებამოსილებისა და II კატეგორიის მინიჭების მიზნით, შემოსავლების სამსახურში წარმოადგინეს შესაბამისი განცხადება;

ბ) გასაუბრების პროცედურის დასრულებისა და აუდიტორის უფლებამოსილებისა და შესაბამისი კატეგორიის მინიჭების საკითხზე პრეტენზიების განმხილველი კომისიის მიერ პრეტენზიების განხილვის შემდგომ, წინადადებების წარდგენას შემოსავლების სამსახურის უფროსისათვის;

გ) იმ იურიდიული პირების განცხადებების განხილვას, რომელთაც სურთ I კატეგორიის მინიჭება და წინადადებების წარდგენას შემოსავლების სამსახურის უფროსისათვის.

2. პირისათვის აუდიტორის უფლებამოსილებისა და შესაბამისი კატეგორიის მინიჭების საკითხის განხილვისას, კომისიის მიერ შესაძლებელია გათვალისწინებული იქნეს:

ა) პირის პრაქტიკული უნარ-ჩვევები, კვალიფიკაციის დონე და ბუღალტრული აღრიცხვისა და აუდიტის სფეროში მუშაობის გამოცდილება;

ბ) საგადასახადო ორგანოს რეკომენდაცია, რომელიც გამომდინარეობს იმ გადასახადის გადამხდელთან ჩატარებული საგადასახადო შემოწმების შედეგებიდან, რომლებსაც პირი უწევდა აუდიტორულ/საკონსულტაციო მომსახურებას.

მუხლი 3. კომისიის საქმიანობისა და გადაწყვეტილების მიღების წესი

1. კომისია საქმიანობას ახორციელებს სხდომების მეშვეობით, რომელსაც ხელმძღვანელობს კომისიის თავმჯდომარე ან მისი არყოფნის შემთხვევაში, თავმჯდომარის მოადგილე.

2. კომისიის სხდომაზე შესაბამის პირთა მოწვევა ხორციელდება ელექტრონული ფოსტის/მობილური კომუნიკაციის საშუალებებით, სხდომის თარიღამდე 2

კალენდარული დღით ადრე, კომისიის სხდომის ჩატარების დროისა და ადგილის მითითებით.

3. კომისიის სხდომა უფლებამოსილია, თუ მას ესწრება კომისიის წევრთა უმრავლესობა. კომისიის მიერ გადაწყვეტილება მიიღება დამსწრე წევრთა უმრავლესობით. ხმების თანაბრად გაყოფის შემთხვევაში, გადამწყვეტია კომისიის თავმჯდომარის ხმა, ხოლო მისის არყოფნის შემთხვევაში თავმჯდომარის მოადგილის ხმა.

4. კომისია ფიზიკური პირისათვის აუდიტორის უფლებამოსილებისა და კატეგორიის მინიჭების საკითხს განიხილავს ამ პირის მონაწილეობით. კომისიის სხდომაზე პირის გამოუცხადებლობის შემთხვევაში, კომისია უფლებამოსილია შემოსავლების სამსახურის უფროსს წარუდგინოს წინადადება, ფიზიკური პირისათვის აუდიტორის უფლებამოსილებისა და კატეგორიის მინიჭებაზე უარის თქმის შესახებ.

5. კომისიის მიერ იურიდიული პირისათვის I კატეგორიის მინიჭების საკითხი შესაძლებელია განხილულ იქნეს გასაუბრების გარეშე.

6. კომისიის გადაწყვეტილება ფორმდება სხდომის ოქმით, რომელსაც ხელს აწერენ კომისიის თავმჯდომარე და კომისიის წევრები (მათ შორის კომისიის მდივანი).

მუხლი 4. კომისიის გადაწყვეტილება

1. შემოსავლების სამსახურის უფროსს წარედგინება კომისიის წინადადებები (წინასწარი შედეგები) პირისათვის აუდიტორის უფლებამოსილებისა და შესაბამისი კატეგორიის მინიჭების მიზანშეწონილობის შესახებ.

2. კომისიის მიერ მიღებული წინასწარი შედეგების შესახებ ინფორმაცია პირს მიეწოდება ელექტრონული ფოსტის/მობილური კომუნიკაციის საშუალებებით. იგი უფლებამოსილია აღნიშნულ წინასწარი შედეგებთან დაკავშირებით შემოსავლების სამსახურში წარმოადგინოს პრეტენზია.

3. პრეტენზიების განხილვის დასრულების შემდგომ კომისიის და ალტერნატიული აუდიტისა და შესაბამისი კატეგორიის მინიჭების საკითხზე პრეტენზიების განმხილველი კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილების გათვალისწინებით, გამოიცემა შემოსავლების სამსახურის უფროსის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი შესაბამისი პირებისათვის აუდიტორის უფლებამოსილების და კატეგორიის მინიჭების/მინიჭებაზე უარის თქმის თაობაზე.

მუხლი 5. კომისიის საქმიანობის ორგანიზაციულ-ტექნიკური უზრუნველყოფა

1. კომისიის მდივანი:

ა) უზრუნველყოფს კომისიის სხდომის გამართვის ორგანიზებას;

ბ) უზრუნველყოფს კომისიის მიერ მიღებული წინასწარი შედეგების შესახებ ინფორმაციის მიწოდებას შესაბამისი პირისათვის;

გ) პასუხისმგებელია კომისიის სხდომის ოქმის სწორად და ზუსტად შედგენის, სხდომის მასალების შენახვისა და დაცვისათვის.

2. კომისიის საქმიანობის ორგანიზაციულ-ტექნიკურ უზრუნველყოფას ახორციელებს შემოსავლების სამსახურის აუდიტის დეპარტამენტი.